

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში № 8.

მანტორა რედაქციის: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტონში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროზა“.

გაზეთის ფასი: თვეობა წლისა—3 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გადის

# დროშა

ცალკე ნომერი ღირს რაზრათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადების: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროშაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდე 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპიკი. პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8). ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრისი: Въ Типографіи. Въ редакціи газеты „Дроза“.

## საქართველო

ავაზაკობის შესამოკმეზლად

პირველნი და საუვეთესო საშუალება ავაზაკობის შესამოკმეზლად და მოსასპობად, როგორც მოგვსენებთ, გახლავთ ის, რომ მოსპობს ის მიწეზები, რომელნიც ჰბადებენ ავაზაკობას და ავაზაკებს. მს მიწეზები არიან: სიღარიბე და უმეცრება.

მაგრამ, რადგან არც ერთი ხალხი

არ მოიპოვება დედა-მიწაზე ისეთი, რომელშიაც ეს ორი სენი არ ჰსუფუედეღს და რადგან საზოგადოებას არ შეუძლიან მოითმინოს ია დრომდინ, სანამ სიღარიბე და უმეცრება და ამასთან ავაზაკობაც და ყოველი ბოროტებაც მოსპობილი იქნება, ამის გამო ყველგან და ყოველთვის მთავრობა, ავაზაკობის შესამოკმეზლად, ავაზაკებს ჰკიდებს ხელს და სჯის ანუ სრულიად აშორებს დანარჩენ საზოგადოებას.

რასაკვირველია, ეს არის დროებითი საშუალება; ხუთ ავაზაკს დაიჭერ, ვსთქვათ, და მოაშორებ საზოგადოებას; ეს არ უშველის საქმეს; მაგერიად ხუთი სხვა გამოჩნდება, იგივე მიწეზები ხუთს სხვას გააჩენენ.

მაგრამ რაც უნდა იყვის, მთავრობა მაინც ვალდებულია ხდის თავის თავს მოაშოროს საზოგადოებას ქვეყნის მენებელი და ბოროტი საქმის ჩამდენი პირები. და რაც უფრო ძარჯვედ არის პოლიცია, რაც უფრო კარგათ უჭირავს იმას თვალ-ყური ამ მხრით საზოგადოების დაცვაზე, უეჭველია, მით უფრო ნაკლებათ ეძლევა საზოგადოებას ვნება, დროებით მაინც, ამ გვარის ხალხისაგან.

ძარგმა პოლიციამ სათითაოდ უნდა

იცოდეს ყველა ავაზაკები, იმათ კვალში უნდა იყოს ის მუდამ ჩამდგარი, თვალს არ უნდა აშორებდეს, ყოველი იმათი ნაბიჯი შეტყობილი უნდა ჰქონდეს და როცა მრუდე ნაბიჯს გადაადგამენ, იქვე უნდა სტაცოს ხელი.

ამისთანა პოლიციის წყალობით ავაზაკები დაშინებულნი იქნებიან და ისეთს თამამს, გაბედულს და ამკარა ავაზაკობას მაინც ვეღარ გაბედვენ. . . .

ჩვენი ხდება ხშირად ავაზაკობა. ქურდობენ ლამით, საღამოთი, ღღისით, შუადღეზედ, იცარცვებიან მიყრუებულ ქუჩებში, ბაზრებში, მაედნებზე, ბაღავინის პროსპექტზე ერთის სიტყვით, ყველგან და ყოველთვის. . . .

ჩვენი საქმე არ არის, რასაკვირველია, პოლიციის საქმეში გივერიოთ და უხვენოთ-თუ როგორ უნდა იქცეოდნენ იმის მოხელეები. მაგრამ, რადგან ეს საქმე საზოგადოების კეთილდღეობასა და მშვიდობიანობას შეეხება, ერთს მაინც ვიტყვი.

აუცილებელად საქაროა, რომ პოლიციაში ყველა უანგარო და პატროსანი ხალხი მსახურებდნენ. არსად, არც ერთს უწყებაში არ შეიძლება იმდენი „ბნელი საქმეების“ ჩადენა, როგორც პოლიციის უწყებაში, და თუ ყველა იმის ჩინოფიკები

## ფალტონი

გაკვრიტი უფინფვაი \*)

(წერილი პრტაანდამ)

პირველი აღბეჭდილება პრტაანისა ჩემზე ის იყო, რომ რამწამს შემოვდგი ფენი, მაშინათვე საშინელი ნეხვის სუნი ძველა ცხვირში. აქ შემა არ არის და ამის გამო ხმარობენ წივას, რომელმაც ქუჩებზე ყველა სახლის წინ ბლომათ ავროვია და სუნიც ამისი გახლდათ.

ამ მხრივ, საითაც ჩვენ მოვედით, ესე იგი დასაელეთით, პრტაანს უბრალონიზნიცი არა აქვს ქლოქისა და მიგმგზავნება ჩვენებურ მოსდილ სოფელს. ზოგან იმერული, ზოგან ახალციხის მაზრის შენობების მგზავსი სხლები, ვიწრო და საშინელი უფუთარო ქუჩები— შეადგენენ ამ ნაწილს.

აქვეა ის ცხეც, რომელიც, ზემო-

მოხსენებული მოლლის სიტყვით, თამარ მეფის აშენებულნი.

აღმოსავლეთის ნაწილში დიდი შენობებია, რომლებიც ყაზარმებად და ფაშების სადგომლად ყოფილან. მსლა აქ ტელეგრაფის სტანციაა, ჩვენი ყაზარმები, სასამართლოები, გოშპიტლების საზამთრო და დიდი პირების საცხოვრებელია.

პრტაანს ორ ნაწილად ჰყოფს მტკვარი, რომელზედაც ორი ხის ხილია გადებული. ბლომათ შეხედებით ორივე ნაწილში დანგრეულ სახლებს; პირველად ჩვენი ზარბაზნის ყუმბარებისგან მეფონა დანგრეული და შემდეგ კი დამარწმუნეს, რომ თითონ პატრონებმა აჰყარეს ხე-ტყე, გაყიდეს და თითონ აქედამ გადასახლდნენ.

რადესაც ზაზარში ჩამოვიარეთ, ძალიან ბევრს ალაგას ისმოდა ქართული ლაპარაკი და ხმაურობა. მიქვენ კი არ გეგონოთ, რომ აქ ქართველები იყვნენ, ბანა ქართველი გაინძრევა და წავა სადმე თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად?

მს ქართული ლაპარაკი და ხმაურობა ეკუთვნოდა ახალციხელ ურიებს და სომხებს, რომელნიც თითქმის ჩვენი ჯარის წინათ შემოსულან პრტაანში. მსენი უძახდნენ აჭარელებს, რომელთაც ბლომათ მოაქვთ აქ ხილი გასასყიდლათ; ამ უკანასკნელებს სწორეთ ისე ეპურობიან ექენი, როგორც თქვენებური პაქარნები საცოდვე მთიულტებს. მრთმა ნაცნობმა აფიცრმა მიაბმო სასაცილო ამბავი:

რადესაც ავიღეთ პრტაანი და სალდათებმა დაუწყეს დუქნებს მტვრევა, ზოგერთა დუქნებში შეხვდათ ახალციხელი სომხები, რომელნიც იმათზე წინ შესულიყვნენ და თამამად გამოჭიმულიყვნენ დაზგებზე. სალდათების კითხვაზე: „აქ რას აკეთებთ?“—ზოგი ეუბნებოდა, ეს დუქანი ომამდინაც მე შეკუთვნოდაო, ზოგი—პაპინებისა იყო ესაო და ეხლა მე უნდა დავიჭიროვო. ამათ მიღებ-მოდებას სალდათებმა ყური არ უდგეს, თვისებურად თოფის კონდაზები წაუსვეს კისერში და გამოყარეს იქილამაო.

\*) ნხე „დროშა“, №№ 187 და 188.



პატრონები არ არიან, ადვილია იმათი შეცდენა, იმათგან მიმხრობა თვით ავაზაკებისა.

ამას გარდა ავაზაკებს ყოველთვის აქვთ რამდენიმე „ბუდე“, ადგილი, სადაც ისინი გროვდებიან, იმალებიან და ინაწილებენ თავიანთ ხელობით ნაშრომს. ჩვენს ქალაქში ამისთანა ბუდეები არიან ტრაქტირები და აბანოს კარები, აქ ბუდობენ ოფილისის ოსტატი-ქურდები. პოლიციამ უნდა იცოდეს კარგათ ეს საბუდარი ადგილები, უნდა მუდამ თვალ-ყური ეჭიროს იმათზე.

რასაკვირველია, შემოხსენებულ პირობებს გარდა, ათასი სხვა საშუალება არის, ჩვენს ქალაქში ავაზაკობის შესამცირებლად; მაგრამ ამჟამად ეს ორი საშუალება კარგი იქნება, ესეც ცოტათი დააშროშინებს ამ განხირებული ბოროტი საქმეებისაგან ჩვენი მოქალაქეების შეშინებულ გულს...

ს. მ.

დღიური

\* \* ჩვენ შევიტყვეთ, რომ ოსმალების მთავრობა ჰგზავნის ბათუმში კამისიას თუ ერთს აგენტს, რომელსაც მინდობილი ექნება, რომ ფულით და სხვა სახსარით გაუადვილოს გადასახლება ახალ-შეძენილ ოსმალოს საქართველოს მახრადამ იმ მცხოვრებელთ, რომელნიც ამ ქვეყნიდან ოსმალეთში გადასახლებას მოინდომებენ.

ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ რაც უფრო ნაკლები ხალხი გადასახლება ბათუმის მხრიდან ოსმალეთში, ისა სჯობიან როგორც რუსის მთავრობისთვის,

მკვიდრ მცხოვრებთაგანნი აქ დარჩენილან მხოლოდ გლეხები და წვრილი ფაქრები. მდიდრებს და მაღალი კლასის პირებს გაუყიდნიათ ყველაფერი და გარდასახლებულან აქედამ. პირველებიც, როგორც დამარწმუნეს მცოდნე პირებმა, ემზადებიან აქაობის მიტოვებას და გარდასახლებას.

— „პრაფერში არ გვინდობენ ზოგიერთი სალდათებიო — ამბობენ ესენი — ყანებს და სულ ყველა წლის სარჩოს დაუნდობლად ფეხით გვითელამენ და ცუდათაც გვეპყრობიანო. ჩვენი ქომაგი შიქელ-ბეგეცი (მეფისოვი) პრთინში გადაიყვანეს და ეხლა ვილა რას გვიპატრონებსო?“

მოხელე პირებსაც ძალიან უჩივიან; მაგალითებრ, მე დამარწმუნეს, რომ ერთ ვილაც აქაურ პოლიციის მოსამსახურეს წაურთმევია მკვიდრი მცხოვრებლისთვის სახლი და ვილაც სომეხი თავის სახლობით დაუყენებია შიგ. რამოდენათ მართალია ეს შემთხვევა, დამტკიცებით ვერ გეტყვით; მხოლოდ საქმე იმაშია, რომ გარდა უ. შანხოვეისა ამ მოხელე პირებს ბევრს უსამართლოებას აბრალებ-

ისე თვითონ იმ ხალხისთვისაც და აგრეთვე ჩვენთვისაც.

ამიტომ შემოხსენებული ამბის შეტყობა ჩვენთვის სასიამოვნო არ იყო, რადგან ის ოსმალოს კომისია ანუ აგენტი, რომელიც ბათუმში იქნება, უეჭველია, ყოველ საშუალებას მოიხმარს, რომ რაც შეიძლება მომეტებული ხალხი გადასახლოს იქადამ ოსმალეთში.

თუ ეს მართალი გამოდგა იმედოვნებ, ჩვენი იქაური მთავრობა ჯეროვან და სასტიკ ყურადღებას მიაქცევს, რომ ჩაგონებით, ქადაგებით, რჩევით, გაიდევრობით, მოტყუებით და სხვა ამგვარ საშუალებით არგადიბირონ თავისკენ მცხოვრებლები.

\* \* ჩვენ გვატყობინებენ, რომ მთავრობას დაუმტკიცებია წესდების პროექტი „წერა-კითხვის საზოგადოებისა“, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ შესდგა ჩვენში და რომლის უპირველესი საქმე ის იქნება, რომ ოფილისში გახსნას ქართველ ყმაწვილებისათვის ისეთი მოსამზადებელი შკოლა, რომელშიაც პირველ-დაწყებითი სწავლა ქართულს ენაზედ იქნება და რომელშიაც ღარიბი ქართველების შეილება სხვა სასწავლებლებში შესასვლელად უნდა მოამზადონ.

\* \* ამას გარდა, ამბობენ, რომ ორი კიდევ სხვა ახალი საზოგადოება სდგება ჩვენში. მართი იმ მიზნით, რომ დაიცვას და, თუ საშუალება ნებას მისცემს, დაბეჭდოს ჩვენი ძველი ხელ-ნაწერი კარგი წიგნები; მეორეს მიზანი კი ის იქნე-

ბენ. როდესაც მე თითონ დავრწმუნდები ყველაფერში, მაშინ დაწვრილებით მოგწერთ.

შირების და სომხების გარდა, აქ ბათუმის მახრადამ მოსულან თითო-ორ-ოლა ლაზებიც, რომელნიც წმინდათ ლაპარაკობენ ქართულს, მაგ. მე დამიმეგობრდნენ ორი ბიძაშვილი ჰუსეინ და ჰასან მარაბაძეები, რომელთაც მშვენივრად იციან ქართული; მხოლოდ ხშირად ურევენ ლაპარაკში ამისთანა თათრულ ფრაზებს „იშ ჰალლა, ვე ჰალლა“ და სხვ. ამათა სიტყვით, ბათუმის მახრადში უმეტეს ნაწილად ქართულს ენას ხმარობენ, ვიდრე თათრულს. დედ-კაცებმა კი თითქმის მართა ქართული იციანო. წერა-კითხვა თუმცა თათრულია, მაგრამ სიტყვები ქართულიაო. ჩორხზე ბევრმა დედ-კაცმა იცის ქართული წერა-კითხვა, ესენი თავიანთ ქალებს ასწავლიანო და ამ გვარად შთამომავლობიდან შთამომავლობაში გადადისო...

თითქმის ყოველ დღე შეხედებით აქ აქარლებს, რომელთაც ხალი, ერბო და სხვა სურსათი ჩამოაქვთ გასასყიდათ. მსე-

ბა, რომ გამოსცეს და გაავრცელოს ხალხში სხვა-და-სხვა საწარგაღოთ-სასარგებლო ქართული წიგნები, რეგისტრირირი და ნათარგმნი.

\* \* ჩვენ გვითხრეს, რომ ოფილისის ერთს სამხედრო ლოშპიტალში სმოტრიტელს (ზედამხედველს) ჰქონია ორნაირი გირები (ასაწონი ქვები), ერთი მასალების მისაღები და მეორე ამავე მასალების ჩასაბარებელი. მისაღები ფუთიანი ქვა ორმოც გირვანქაზე ბევრად მომეტებული არისო და ჩასაბარებელი კი ორმოც გირვანქაზე ბევრად ნაკლებიო. ასე რომ დიდი გამორჩენა ჰქონია, როცა ხორცს, პურს და სხვა ხორაგეულს აბარებდა ავითყოფებისთვის.

ამბობენ, ლოშპიტლის მთავრობას შეტყობილი აქვს ეს ამბავიო...

\* \* დედოფლის-წყაროდამ გეწერენ, რომ იქაურს ლოშპიტალშიაც დიდი უწყესობა აღმოუჩინიათ და გამოძიებაც არის დანიშნულიო. ამ ლოშპიტლის ურიგობა პირველად ბუჭალატერის ყალბობისაგან გამოჩნდა, რომელიც სხვა-და-სხვა პირების ხელსაკვირველის მიმსგავსებით აწერდა თურმე ხელს აქტებზე და ლოშპიტლის სხვა ქალაქებზე.

„დროების“ კორმსპონდენცია

შორაპნის მახრად, 16 სექტემბერს. წელს ჩვენში ძრიელ ცუდი მოსავალი იქნება ღვინისა. წარსულ წელში ბევრი ღვინო მოვიდა, დიდ-ძალი ფულიც შემოვიდა ამ უეზდში ღვინისა და რომ ჭკუა ექმნათ და ყველას გაეყიდათ, ძლიერ მაიგებდნენ. მაგრამ ზოგმა დალო-

ნი ჩაცმითაც, ენითაც, სახითაც და თითქმის ყველა მოძრაობითაც წმინდა გურულები არიან.

ბევრს შეეშეთელ მცხოვრებლებსაც შეხედებით აქ. ამათი ენა ცოტა არ არის, რომ ჩვენი მთიულების ენას მიემგზავსება, თუმცა ქართულ ლაპარაკში თითქმის ნახევარს თათრულს სიტყვებს ურევენ. შეეშეთელები ვერც ისე ცქვიტი და ომანხანები არიან, როგორც აქარლები და ლაზები. მსენი, განსაკუთრებით ლაზები, მეტის-მეტი ოცნებები არიან.

ბევრჯერ ველაპარაკე ამათ იმაზე — რა შეხედულობა აქვთ თავიანთ შთამომავლობაზე, და ყოველთვის ამას მეტყვიან ხოლმე:

— „ჩვენ ვართ მაჰმადიანები, მაშასადამე თათრები“.

აი რა ნაირი შეხედულობა აქვთ იმაზე, რომ ესენი ქართულს ლაპარაკობენ: ერთმა შეეშეთელმა ძალიან მალხაზმა და გონებთანმა თოთხმეტის წლის ბიჭმა მიაპო:

— ჩვენი ქვეყანა როდისღაც ურუსებს დაუპყერიათ და მაშინ ბევრი გურჯები



ცილიმა თითო ჩაფი ღვინის გაყიდვა მოინდომა ექვს მანეთად, ოთხ მანეთად არ გაყიდეს, და ესლა ისე დაეარდა ფასი ერთბაშით, რომ მანეთ ნახევრის მიმცემიც აღარ არის.

პურის მოსავალი და სიმინდისა ამ უზღლში საშუალო არის, ძვირობა ჯერ ისევე ყველაფერზე ძველებური დარჩა; ცოტა ხორცეულობა გაიფუტა.

ტყეები სულ ჰქრება და შეშა გაძვირდა მეტი-მეტად. შვირილაში თითქმის ოც მანეთად იყიდება საქენი შეშა. უშეშობა ძლიერ უჭირვებს დაბალ-ხალხს საქმეს. ბეჭათუბნის სტანციაში იშოვის კერძობირისაგან კაცი შეშას სასყიდლად; მაგრამ რათ გინდა? რკინის გზით არ გადაგატანებენ. რკინის გზის კამპანის უნდა, მარტო ის იყო შეშის მუშტარი და სხვა არაფერი. ძარგი საშუალება გამოიგონეს სწორეთ. მის მეტი არაფერი იყიდის და არ მისცემ იფათ, ბა რას იზამ?...  
ნეტავი ჩინოვნიკებს! იმათ კი არ გაუჭირდება შეშის შოვნა. ბევრი იფიქრეს აქ შორაზნის უზღლის პოლიციის და მომრიგებელი სულის ჩინოვნიკებმა, რომ როგორიმე გზით შეშის ყიდვა გაეადვილებინათ. პოლიციის სამმართველოს ჩინოვნიკებმა კი გამოიხატეს ერთი ძველი კანონი, მაგრამ სულში ვერა ნახეს-რა ჯერ პოლიციამ გამოუცხადა მამასახლისებს, რომ შეშა მუქთად უნდა მოგვიტანოს გლეხებმაო. მაგრამ, რადგან გლეხი-კაცები გვებრალება და მათზედ ბევრს ვზრუნავთო, ჩვენ ვიყიდით სოფლებშიო და გლეხები გამოიწვიეთ და ჩამოგვიტანეთო. გლეხებმაც მადლობა შესწირეს;—ჩვენ ნუ გვაყიდინებ და ტყუილია კი ჩამოგვიტანთო!...  
იყიდეს ადგილზე შეშა 6—8 მანეთად საქენი. ზამოყარეს ცემა - ტყეებით გლე-

გადმოსახლებულან აქა; ამათგან ჩვენც გვისწავლია იმათი ენა და შემდეგ, თუმცა ურუსებისგან გაეთავისუფლებულვართ, მაგრამ ქართული ენა მაინც - და მაინც დარჩენილა ჩვენში.

ისე დაჭეშმარიტებით მელაპარაკებოდა ეს ყმაწვილი, რომ ექვი არა მაქვს იმაში, რომ ეს ამათი საზოგადო აზრი უნდა იყვეს, რადგანაც ის თავის - თავად ამას ვერ შეთხზავდა და, უეჭველია, სხვებისგან უნდა ჰქონდეს ეს შეხედულობა ჩანერგული.

მით მარაბადეებიც დიდის შრომით დავარწმუნე, რომ ესენი ქართველების შთამომავლები არიან. ამის შემდეგ ესენი ძალიან სიყვარულით და ნდობით მეპყრობოდნენ. როდესაც ამათი ცხოვრების შესახებ სხვა - და - სხვა ცნობებს ვეუბნებოდი, ესენი დიდის ყურადღებით ისმენდნენ და მთხოვეს კიდევ ქართული წერა - კითხვა გვასწავლეო, რომ ჩვენ თითონ წავიკითხოთ ეგებოი. მეც დიდის სიამოვნებით აღუთქვი, მაგრამ, სამწუხაროდ, რამწამსვე შეიტყვეს ბათუმში ჩვენი ჯარის შესვლა, მაშინვე მიყიდ - მოყოდეს ყველაფერი და იქით გაიწიეს სავაჭროდ.

ნები, ამისთანა მუშაობის დროს, და აზიდინებენ პოლიციის ჩინოვნიკებისთვის შეშას. ძლიერ იაფად დაუჯდათ შეშა მათ, მაგრამ ვინც ჩინოვნიკები არა ვართ, იმათ რა ექნათ? . . . . .

X.

# რუსო ქვეყნები

## ინგლისი

ლონდონის გაზეთს „დაილი ტელეგრაფში“ იწერებია 12 სექტემბერს:

„ღღეს შეიკრიბნენ ინგლისის მინისტრები აჭგანისტანის საქმეზედ მოსალაპარაკებლად. ინდოეთიდან მოვიდა ამბავი, რომ ინდოეთის ვიცე - კოროლს ჩრევა ჰქონია და გადაუწყვეტია, რომ აჭგანისტანის სამხლვარზე ახლავე მოაგროვოს 12,000 ინგლისის ჯარი.“

„ინგლისის გაზეთები თხოულობენ, რომ ჩვენმა მთავრობამ ახლავე შეგზავნოს თავის ჯარები აჭგანისტანში, თუ ემირმა არ დაგვაკმაყოფილა და არ დათანხმდა ყველა ჩვენს მოთხოვნილებზედაო.“

## საზრანბეთი

რესპუბლიკური პარტიის წინამძღოლი ლეონ ზემბეტა ჩვეულებისა მებრ მოგზაურობს ამ ქამად საფრანგეთის პროვინციებში. იმის გაზეთს „რესპუბლიკ ჰრანსეში“ აწერილია—რა პატივით უხვდებიან იმას სხვა - და - სხვა ქალაქებში; იქვე დაბეჭდილია აგრეთვე რამდენიმე სიტყვა, რომელიც ზამბეტას ამ მოგზაურობის დროს უთქვამს შეგროვილ ხალხისათვის. შევლაზე უფრო შესანიშნავი სიტყვა ზამბეტას უთქვამს იმ სადილზე, რომელიც იმას გაუმარ-

ბულიავერდი და რამაზანი ჯერ არ დამითვალეებოდა და სწორეთ გითხრათ ბევრი სანტერესონიც აღარ არიან ესენი, რადგანაც თავი - და - თავი სიმაგრეები ალბის შემდეგ სულ ერთიანათ წამლით უფეთქებიათ და დაუნგრევიათ.

არტაანის ახლო-მახლო მიწის თხრილი სიმაგრეები კი ისეთი ხელოვნურათ და მოსაზრებით არიან გაკეთებულები, რომ ვგონებ აქამდინ ჩვენებს სიზმრათაც არ მოსვლიათ თავში ამგვარი სიმაგრეების გაკეთება. მათრებს რა ცოტაც არის გაწრთვნილი ჯარი ჰყოლოდათ აქ, ორი იმოდენა ჯარის რიცხვით, რა რიცხვითაც აიღეს, ვერას დააკლებდნენ არტაანს. მითონ აქაური მცხოვრებლები რამაზანის ფაშის და სხვა პირების ღალატს აწერენ არტაანის აღებას.

—რამაზანის ფაშამ მარტო ორი ზარბაზანი გაისროლა და მიშველების მაგიერად, აიყარა ჯარით და წავიდა აქედამაო. ამბობენ აქაურები..

ამით ვათავებ ამ წერილს; რადგანაც ერთის მხრივ დიდი ხანი არ არის, რაც მოველი და მეორეს მხრივ მე ვცხოვრობ არტაანიდან თითქმის ოთხ ვერსზე

თეს ქალაქს რომანსში, დროის დეპარტამენტში. ზამბეტა შეხვნილა ყველა იმ პოლიტიკურ და შინაგან საქმეებს, რომელნიც აწუხებენ ამ ქამად საფრანგეთს. სხვათა შორის, მაკ - მაჰონისაგან პრეზიდენტობის მიტოვებაზედ ზამბეტამ სთქვა, კიდევ მართლა რომ მიატოვოს ახლანდელმა პრეზიდენტმა თავის თანამდებობა, საფრანგეთში იმით არავითარი უბედურება და უწყსოება არ მოხდებაო, რადგან ნაციონალური პრეზა და სენატი იმწამსვე ახალს პრეზიდენტს ამოირჩევენო. მაგრამ რამდენათაც ვიცი, მაკ - მაჰონს 1880 წლამდინ, როცა ვადა უთავდება, განზრახვათაც არა აქვსო, რომ პრეზიდენტობა მიატოვოსო.

შემდეგ ზამბეტა შეხვო ჩინოვნიკების გამოცვლის საგანს; სთქვა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას აუცილებლად ეჭირებაო, რომ ყველა ჩინოვნიკები რესპუბლიკელები იყვნენ და რესპუბლიკის ერთგულნი და ამის გამო განსაკუთრებით ბონაპარტიული ჩინოვნიკების გამოცვლა ჩვენს ქვეყანას დიდს სიკეთეს მოუტანსო.

## ოსმალეთი

ლონდონის გაზეთს „დაილი ნეუსში“ იწერებია თრაპიზონიდან 3 ნეკენისთვის, რომ ამქამად ბათუმში არცერთი ოსმალოს სალდათი აღარ არის დარჩენილი და ეს ქალაქი რუსეთის სრულს გამგებოდაში არისო.

—ამავე გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე თრაპიზონიდანვე მიღებული დეპეშა, რომელიც გეაცნობებს, რომ აქ მოიყვანეს ძაქასილიამ გამოგზავნილი 1000 კაცი ოსმალოს ტყვეებიო.

—სტამბოლის გაზეთებში უფრო დაწვრილებით არის ახლა აწერილი ის ამბავი, რომელიც ამას წინათ გეაცნობა

მოშორებით და გვიან - გვიან ეხედები ამ ქალაქს, ამის გამო ჯერ თითქმის სრულებით არ გამიცნია აქაური ცხოვრება; შემდეგში კი სახეში მაქვს კარგათ შევისწავლო ყოველივე ცხოვრების მხარე და მაშინ თქვეიც ყველას დაწვრილებით გავაცნობთ.

ზანაკის ცხოვრებაზედაც არას გწერთ, რადგანაც საძაგლობის მეტი, აქ არავითარი სანუკარი მოვლინება არა ხდებაო, რომი, არაყი, კონიაკი, პროფერანსი, იარალაში პულკა სტუკოლკა, ჩინოვნიკური ჭორები და ინტრიგები, ჩინებზე, ორდენებზე და ჯამაგირებზე ლაპარაკი, სიცივე და წვიმები შეადგენენ აქაურ ცხოვრებას. მა ხომ ყველამ კარგათ ვიცით.

მეკენისთვის 3 - ს სცენის მოყვარენი სცენისავე სასარგებლოდ წარმოადგენენ ბოგოლის „თიანებს“ და სუბოვო ძაბილის „სვადბა პრეჩინსკავოს“. ლმერთმა ქნას და ერთი სცენა გაიმართოს, რომ ზოგჯერ მაინც გავერთოთ პატარა.

პრტანი, 30 აგვისტოს.



დებეშამ, რომ ფილატამ ხონთქრის მოკ-  
ვლა განიზრახაო. საქმე აი მოგორ ყო-  
ფილა:

ხონთქარი მინავლა ცხენით მეჩითში  
სალოცკავთ. ბარშემო დიდი ამაღა და  
ჯარები ეხვია თურმე. ამ დროს ერთი  
ვიღაც სოჭტი გამოვარდნილა ხალხში,  
ხელში რევოლვერი ეჭირაო და პირ-და-  
პირ ხონთქარისაკენ იწველაო. მაგრამ  
როცა დაუმიზნა თურმე, ამდროს სტაცეს  
ხელი და დაიჭირეს.

ამ გარემოებებში ისე დაათხზა თურმე  
ხონთქარი რომ იმ დღეს დაღამებამდინ  
თვის სასახლეში არ დაბრუნებულა, და-  
მით სასახლის ახლო-მანლო ქუჩებში  
ერთი-ორად მომეტებული ყარაულები  
დააყენა და ბრძანება გამოსცა, რომ  
გადაყენებულ ხონთქარს მურადაც სას-  
ტიკად უყარაულონ, რომ სადმე არ  
გააქციონო.

ამ საქმის თაობაზე ბევრი ცილატაები  
დაუტუსალებია სტამბოლის პოლიციას.

### ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ლონდონი, 18 სექტემბერს. „თაიმსში“  
დაბეჭდილია შემდეგი დებეშა ქალკუტი-  
დამ მიღებული: ინგლისი ენერგიულად  
ემზადება აქ აშკანისტანთან ომის და-  
საწყებად. ჯერ არ იციან—თუ რა სამ-  
ხედრო ძალა აქვს აშკანისტანის ემირს  
შირ-ძლის; ამბობენ მხოლოდ, რომ  
მოსამზღვრე ხალხებს 100,000 კაცის გა-  
მოყვანა შეუძლიანთ შიძოლის ველზე-  
დაო. ინდოეთის (ინგლისის) მთავრობა  
არ დაბრუნდება ქალკუტაში; აქედამ გა-  
მოჰყავთ ის დასკვნა, რომ ვიცე-კო-  
როლს მშვიდობით საქმის გათავების  
იმედი არა აქვსო. ლენერალი ჩემბერ-  
ლენი სიმლანში დაბრუნდა.

ორი რუსის აფიცერი ჯერ კიდევ  
ქაბულში არიან. ლენერალი აბრამოვი  
ქაუჭმანის მთავარ კვარტირაში დაბრუნ-  
და.

### კავებულების ბიკშა, 19 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)	
ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—87
მეორე — — — — —	96 — „
მესამე — — — — —	95—50
მეოთხე — — — — —	95—62
აღმოსავლეთის — — — — —	92—50
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8 —
თფილ. თავად-ან. ბანკის	
გირაოს ფურცელი — — — — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	
	მან. კაპ.
პირველი სესხის — — — — —	231—50
მეორე სესხის — — — — —	127—50
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — — — —	24 — „ კენსი
ამსტერდამი — — — — —	123—24 ცენტი
ბერლინი — — — — —	207—50 ჰენრიგი
პარიჟი — — — — —	256 — „ სანტიმი

იქვე ისყიდება იმისივე  
**„იბავ-არაქანი“**  
ზამოკრებილი საბა-სულხან ორბე-  
ლიანის სიბრძნე-სიცრუილამ და გა-  
ლექსილი თ. რაფ. პრისთვისაგან.  
უასი ორი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარ-  
კვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს  
სასულიერო სასწავლებელში, უფ. სან-  
ცივეთან ახალი წიგნი.

### ლექსთა კრება

თ. ბრიგოლ ორბელიანისა, ილია შაე-  
ქავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ  
შურცლოაძისი, ივანე ტერესელიძისი,  
იოსებ ბაქრაძისი და სხვებისა.  
შეკრებილი და გამოცემული  
შაქარია შიქინაძისა  
უასი ორი შაური.

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, თუი-  
ლისში, ბალაენის პროსპექტზე, ისპი-  
დება რუსულის ენაზე დაწერილი წიგნი  
„ბატონ-პროვის უფლება საპარტო-  
ლოში“ („Крѣпостное Право въ Гruz-  
зии“). თითო წიგნის უასი თხუთმეტი  
შაური, გაუზაფენით ოთხი ამაში.

### განცხადება

ნათელია ვახტანგის ასული ალექსანდრ-მისნიანისა და ნიკოლოზ ია-  
კინთას ქე ალექსანდრ-მისნიანი გულითადის მწუხარებით აცნობებენ, პირ-  
ველი თავის მეუღლისა და ხმარე სთავის შამის-დებისტვიტელნი სტა-  
ტსკი სოვეტნიკის იაკინთა დიმიტრის ძის გარდაცვალებას და უმოკრი-  
ლესად სთხოვენ ნათესავეებსა და ნაცნობებს დაესწრონ მიცვალებულის  
გამოსვენებაზედ ბორის უეზდის სოფ. შალიდამ საქთავისის სობოროში, ხუთ-  
შაბათს, 21 სექტემბერს, დილის 9 საათზედ.

რკ. გზა.	დღა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	ვახანდა	თფილისის სამკურნალო
თფილისი . . .	9 21	5 18	კაპ. მ. კაპ.		ოკი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 19 სექტემბ.	მრეწ. ს. მადვარაძის სახლში.
მცხეთა . . .	10 11	6 27	4 68	38	ქუთაისს, შოთს . . . . .	1	შეკ. თეთ. ბანჯინა, ფთ.	1 80
ბორი . . .	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს . . .	50	შეკილი წითელი . . . . .	1 40
ხაშური . . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდევს, მოსკოვს . . .	2	ქერი ფუთი . . . . .	1 35
სურამი . . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურს, მარშაგას . . . . .	2	ბამბა მრეწისა, ფუთი . . . . .	7 30
შვირილი . . .	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვიტარიაში . . . . .	3	— ამერიკისა, ფუთი . . . . .	8 20
რიონი . . .	6 57		6 75	3 75	იტალიაში და სფრანგეთში . . . . .	3 50	ბაპენტალი ბამბა ფუთი . . . . .	10
სამტრედია . . .	7 51		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	მატყლი თუშური ფუთი . . . . .	8 20
ახალ-სენაკი . . .	8 43		8 57	4 76			— თარაქამისა ფუთი . . . . .	4 50
შოთი . . .	9 50		9 75	5 42			აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	2
							ქონი, ფუთი . . . . .	6 60
შოთი . . .	9 3						ქონის სანთელი ფუთი . . . . .	8 40
ახალ-სენაკი . . .	10 14		1 18	66			სტეფანისის სანთელი, ფთ. . . . .	12 20
სამტრედია . . .	11 5		2 6	1 14			ხორცა შროხისა, ლიტ . . . . .	81
რიონი . . .	12 13		3 4	1 69			— ცხვისა, ლიტრა . . . . .	90
შვირილი . . .	1 18	ლაბე.	3 98	2 21			სპირტი ვედრო . . . . .	4 80
სურამი . . .	5 12		1 10	5 33			შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	7 40
ხაშური . . .	5 39		1 37	5 84			— ფხვნილი ფუთი . . . . .	6 20
ბორი . . .	7 5		4 87	36 4 9			ქავა გრვავალი, გირვ . . . . .	70
მცხეთა . . .	8 50		6 59	9 8 5 4			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი . . . . .	14
თფილისი . . .	9 31		7 56	9 75 5 42			თამბაქო საშულო ფთ. . . . .	8 50